ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 60 40

16 იანვარი 2015 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №4

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ"-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

პროექტი

დადგენილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების და 53-ე მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N576 დადგენილების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები, თანახმად დანართი 1-ისა (თან ერთვის).

მუხლი 2.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N47 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 თებერვლიდან.

პროექტის ავტორი: ბექა შენგელია

დანართი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა რანგი	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო
	1	2	3
1	მთავარი საჯარო თანამდებობა	გამგებელი	2650
2		გამგებლის პირველი მოადგილე	1800
3		გამგებლის მოადგილე	1600
4	წამყვანი საჯარო თანამდებობა	სამსახურის უფროსი	1350
5	უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	950
6		გამგებლის თანაშემწე	900
5		გამგებლის წარმომადგენელი	850
6		მთავარი სპეციალისტი	750
7	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი	650
8		უფროსი სპეციალისტი	620
9		სპეციალისტი	600